

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #011/14¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ჩიბურდანიძე (სტუდენტი)

კითხვა:

საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ კლიენტმა ადვოკატს სთხოვა მისთვის გადაეცა საქმის მასალები. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული საქმის მასალები ინახება საადვოკატო ბიუროში, რადგანაც ბიუროს ჰქონდეს მონაცემები მათ მიერ წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით. ადვოკატმა თავის ყოფილ კლიენტს შესთავაზა საქმის მასალების ასლების გადაღება. ამასთან, ადვოკატი აღნიშნავს, რომ საქმის მასალები დიდი მოცულობისაა და ასლების გადაღების ხარჯები ყოფილმა კლიენტმა უნდა დაფაროს. ამ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები?

ანალიზი:

ადვოკატმა კლიენტს საქმის დასრულების შემდეგ უნდა დაუბრუნოს, ის მასალები რომლების კლიენტმა მას გადასცა, მიანდო მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან/და ადვოკატმა ის მიიღო სასამართლოსგან ან სხვა პირისაგან საქმიანობის განხორციელების მომენტში (აპეკ-ის 8.15 მუხლი). აღნიშნული საქმის მასალები ეკუთვნის კლიენტს და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტაცია. საადვოკატო ბიუროს შეუძლია დაიტოვოს მის მიერ წარმოებული საქმის ასლები, ხოლო ორიგინალი უნდა გადასცეს კლიენტს.

დასკვნა:

ადვოკატმა უნდა გადასცეს კლიენტს მის მიერ წარმოებული საქმის მასალების ორიგინალი ვერსიები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91e93f33363.pdf/05%20June%202014%20011.14.pdf>